საქართველოს კონკურენციის სააგენტო

2018 წლის ანგარიში

თბილისი
2019

ძვირფასო მეგობრებო,

თქვენს წინაშეა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მუშაობის მეოთხე წლიური ანგარიში, რომელიც 2018 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას და გადადგმულ ნაბიჯებს აერთიანებს. სააგენტო დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელსაც საფუძველი დიდწილად ხუთი წლის წინ ჩაეყარა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა „კონკურენციის შესახებ“ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაამტკიცა და ქვეყანაში კონკურენციის დაცვის დამოუკიდებელი უწყების აღდგენას დაუდო სათავე.

მიუხედავად რესურსების სიმწირისა თუ გამოცდილების ნაკლებობისა, ჩვენმა ახალგაზრდა, მაგრამ მოტივირებულმა გუნდმა შეძლო რამდენიმე ძალიან სერიოზული გადაწყვეტილების მიღება. ცხადია, არის პრობლემები, რომელიც ძირითადად, აღსრულების მექანიზმებს უკავშირდება. ჩვენ ვმუშაობთ, რომ ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობა, მათ შორის, პროცედურულ ნაწილში, სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ კანონმდებლობასთან, რათა კონკურენციის სააგენტომ ეფექტიანად შეძლოს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ეს არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს კონკურენციის სააგენტო აპირებს, გახდეს სადამსჯელო ორგანიზაცია. პირიქით, ჩვენი მიზანია, რომ კონკურენციის სააგენტო აღიქმებოდეს, როგორც ბიზნესის უფლებების ერთ-ერთი უპირველესი დამცველი და ხელშემწყობი უწყება ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობა და პარლამენტი მუშაობს კონკურენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვასა და დახვეწაზე. ამ მიმართულებით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ერთად, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, არაერთი შეხვედრა და დისკუსია გაიმართა, რომელსაც წინ უსწრებდა ევროკავშირის პროექტის რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ბიზნესის განვითარების, მეტი სამუშაო ადგილის შექმნისა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების საფუძველი ყველგან და ყოველთვის იყო ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობა. ამის დასტურია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა წარმატებული სახელმწიფოს გამოცდილება. ქვეყნების უმრავლესობამ დიდ წარმატებას მიაღწია სწორედ იმით, რომ არ დაუშვა ხელოვნური კონცენტრაციებითა და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, როგორც სხვა ბიზნეს სუბიექტების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დარღვევა.

მომხმარებლის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა - მიიღოს ხარისხიანი პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასად, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, მხოლოდ და მხოლოდ კონკურენციის დაცვით მიიღწევა. ჩვენი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედების პირობებში მივაღწიოთ ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას და იმას, რომ საქართველოს ბაზარი ღია იყოს ნებისმიერი პირისათვის, არ არსებობდეს ხელოვნური ბარიერები და ბიზნესი თავს დაცულად გრძნობდეს, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე სხვა ბიზნეს სუბიექტებისაგან.

ამ მიზნების მისაღწევად მხოლოდ სააგენტოს ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, თუ არ მოხდა კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ბიზნეს-სუბიექტების, სხვადასხვა უწყების, მათ შორის, სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით. კონკურენციის კანონმდებლობის არსი და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირების მნიშვნელობა სათანადოდ უნდა იქნეს გააზრებული იმ სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ბაზარზე შესაბამისი სუბიექტებისთვის თავისუფალი დაშვების შესაძლებლობის შექმნასა თუ სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფასთან. მჯერა, ჩვენი მიზანმიმართული ნაბიჯები აუცილებლად გახდება საქართველოს შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი.

გასული წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტოს გუნდი მაქსიმალურად მუშაობდა იმისათვის, რომ საფუძვლიანად შეესწავლა ის საუკეთესო გამოცდილება, რომელიც დაგროვილია ევროპის, ამერიკისა და აზიის მოწინავე ქვეყნებში კონკურენციის სამართლის მიმართულებით. თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება 2019 წელს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დარჩება. გარდა ამისა, დასახული მიზნების მისაღწევად, ჩვენ გავაგრძელებთ მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავებას, გზამკვლევების გამოქვეყნებას, რათა ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს მისთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია.

ყველა ჩვენს მეგობარს, პარტნიორს და მხარდამჭერს მინდა ვუსურვო, რომ არსებული გამოწვევები 2019 წელს მნიშვნელოვნად იყოს დაძლეული და დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ძალიან პატარა, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ პროფესიონალი და მოტივირებული გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ბაზარი ხვალ, თუნდაც ერთი ნაბიჯით, მაგრამ უკეთესი იყოს!

ნოდარ ხადური

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. თავის მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ხაზს უსვამს თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას სავაჭრო ურთიერთობებში. შეთანხმება მხარეებს ავალდებულებს, გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები და ამ კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

კონკურენციის სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. სააგენტო ასევე შეისწავლის ბაზარზე განსახორციელებელი კონცენტრაციებისა და გასაცემი სახელმწიფო დახმარებების კონკურენციასთან თავსებადობის საკითხს.

კანონის მიხედვით, კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე. სააგენტო, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა, ამზადებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს, გაწეული მუშაობისა და საქართველოს საქონლის და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სააგენტოს წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტებია: სწრაფი, რეალური ქმედებებით კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება; ღია, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის უზრუნველყოფა; სააგენტოს ცნობადობისა და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა; საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დანერგვა და სააგენტოს მიმართ ნდობის ამაღლება; ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება; სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, შედეგიანი და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სააგენტო 4 სტრუქტურული ქვედანაყოფისგან შედგება:

- ✓ ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტი;

- ✓ ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტი;
- ✓ იურიდიული დეპარტამენტი;
- ✓ ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში 43 თანამშრომელი იყო დასაქმებული.



წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2018 წლის მანძილზე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობების თაობაზე: მოკვლევისა და მონიტორინგის წარმოების, დაგეგმილი კონცენტრაციების შეფასების, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციების, სააგენტოში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების, კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, უწყებათაშორისი თანამშრომლობის, გზამკვლევი დოკუმენტების შემუშავებისა და ბევრი სხვა მიმართულებით.

სააგენტო მადლობას უხდის ყველა ადამიანს, უწყებასა თუ დონორ ორგანიზაციას, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ 2018 წლის მანძილზე განხორციელებულ აქტივობებში. იმედი გვაქვს, რომ 2019 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და წინსვლის წელიწადი იქნება, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემს, მეტი აქტიურობით გააგრძელოს მუშაობა ქვეყანაში კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად.

1. სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მაჩვენებლები

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სულ აღირიცხა 1175 შემოსული და 1777 გასული წერილი; განხორციელდა 446 შიდა კორესპონდენცია და გამოცემულ იქნა 379 ბრძანება.



- ამავე წელს, სააგენტო ახორციელებდა 6 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევას, რომელთაგან 5 დასრულდა 2018 წელს;
- საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 7 ბაზრის მონიტორინგი, რაც 2019 წელსაც გაგრძელდება;
- 2018 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 2 შეტყობინება;
- ამავე პერიოდში, სააგენტომ გასცა 4 რეკომენდაცია ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით;
- წლის მანძილზე, სააგენტოში წარმოდგენილი 4 განცხადება/საჩივარი, ხარვეზის აღმოუფხვრელობის საფუძვლით ან/და მხარის მოთხოვნის შესაბამისად, განუხილველად იქნა დატოვებული;
- სააგენტოში მიმდინარეობს 2018 წელს წარმოდგენილი 3 საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა, მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

გარდა ამისა, 2018 წელს:

- გაიმართა კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის სათათბირო საბჭოს 11 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 25-მდე საკითხი;
- კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების, მოსამართლეების, ადვოკატების, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით ჩატარდა 15 სემინარი/კონფერენცია;
- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით განხორციელდა 27 ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რასაც მოჰყვა 30-მდე თანამშრომლის გადამზადება.

2. მოკვლევები

2.1. დასრულებული მოკვლევები

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 სასაქონლო/მომსახურების ბაზრის მოკვლევა.

ხსენებული 5 მოკვლევიდან, 1 დაწყებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ხოლო 4 - სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე.



მოკვლევის 2 საქმე მიმდინარეობდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, 2 საქმე – 11³ მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე, 1 საქმე ეხებოდა - მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.



❖

საავტომობილო საწვავის ბაზარზე განხორციელებული მოკვლევა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 10 მაისის ბრძანებით დასრულდა საავტომობილო საწვავის ბაზარზე ჩატარებული ხელახალი მოკვლევა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განხორციელდა. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 14 ივლისის ბრძანება და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე დაუბრუნდა სააგენტოს ხელახლა განსახილველად.

ხელახალი მოკვლევის შედეგად, სააგენტომ დაადგინა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მხრიდან „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. საქმე ეხებოდა ჩამოთვლილი კომპანიების მიერ ბაზრის პროდუქციული ნიშნით გადანაწილებას. კერძოდ: ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი იყვნენ იმპორტის,

საბითუმო და საცალო ვაჭრობის დონეზე შეთანხმებული პრინციპით - სააგენტოს შეფასებით, კომპანიებს ჰქონდათ შესაძლებლობა, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ ბაზრის სხვა დონეზეც, მაგრამ ისინი არ უწევდნენ კონკურენციას შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს.

შესაბამისი კანონის ამოქმედების პერიოდისა და ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით, სააგენტომ დარღვევა დაადგინა 2012 წლის 5 თვიან პერიოდთან მიმართებაში და ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ აგენტებს დააკისრა კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია - ჯამში სამ მილიონამდე ლარის ოდენობით.

ამასთან, უცვლელად დარჩა სააგენტოს თავდაპირველი გადაწყვეტილება, ფრენშაიზინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად, ფასების განსაზღვრის საკითხთან მიმართებაში, რომლითაც დადგენილი იყო შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ და მათი პარტნიორი კომპანიების მხრიდან კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ხელახალი გადაწყვეტილება კომპანიების მიერ არ გასაჩივრებულა, შესაბამისად იგი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შევიდა კანონიერ ძალაში და დაკისრებული ჯარიმა სრულად იქნა გადახდილი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

❖

შპს „დიზაინ ჰაუსის“ საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა

2018 წლის 30 მაისს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „დიზაინ ჰაუსის“ საჩივართან დაკავშირებით. საკითხი შეეხებოდა კანონის მე-11³ მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტს, მოპასუხეების - შპს „დიმპლექს ჯორჯიასა“ და შპს „დნას“ მხრიდან. საჩივრის თანახმად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები სოციალური ქსელის მეშვეობით ავრცელებდნენ შპს „დიზაინ ჰაუსის“ საწინააღმდეგო განცხადებებს, მომხმარებლებს მოუწოდებდნენ, არ შეეძინათ კომპანიის კუთვნილი პროდუქცია და ახდენდნენ როგორც კომპანიის, ასევე დირექტორის სახელისა და რეპუტაციის შელახვას.

სააგენტომ მიიჩნია, რომ კონკურენტი კომპანიის მისამართით გამოთქმული ბრალდება - უკანონო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით - საშუალო სტატისტიკური მომხმარებლისთვის, აღიქმება იმგვარად, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“, როგორც კომპანია საქმიანობს უკანონოდ, - მაშინ როდესაც არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება და უფლებამოსილი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კომპანიის საქმიანობის უკანონოდ მიჩნევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ ეფუძნებოდა რეალურ ფაქტობრივ მონაცემებს და იყო ნეგატიური ხასიათის. ამდენად, მსგავსი ქმედება მიჩნეულ იქნა ეთიკის ნორმების, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ. სააგენტოს შეფასებით, აღნიშნულმა „პოსტმა“ შელახა მომხმარებლის ინტერესებიც - მათთვის კომპანიაზე არასწორი შეხედულების შექმნის გზით, მაშინ, როდესაც მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის საშუალება - მათთვის მისაღები პროდუქცია შეიძინონ ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი კომპანიისგან, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, ხარისხითა და ფასით.

ამდენად, Facebook პოსტში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა კომპანიის მიერ საქმიანობის შეჩერების, მისი უკანონო საქმიანობის ან გარანტიის გაუცემლობის საკითხებს, სააგენტომ მიიჩნია კონკურენტის რეპუტაციის შემლახველ ქმედებად, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას. კანონდარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შპს „დნას“ დაევალა უზრუნველეყო სოციალური ქსელის გვერდიდან იდენტური/მსგავსი პოსტების წაშლა, რომლებიც მომხმარებელს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას შპს „დიზაინ ჰაუსის“ შესახებ.

❖

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარზე წარმოებული მოკვლევა

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ, შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე, დაიწყო მოკვლევა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარზე, შპს „სტრადა მოტორსის“, შპს „იბერია ავტოს“, შპს „ჯი-თი მოტორსისა“ და სს „ფრანს ავტოს“ მხრიდან მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. დარღვევის დასადასტურებლად

საჩივარში მითითებული იყო კონკრეტული ტენდერები, კერძოდ 58 (ორმოცდათვრამეტი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და 60 (სამოცი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა ერთზე მეტი პრეტენდენტი. სააგენტოს მიერ დამუშავდა ორივე კატეგორიის ტენდერები და მათთან დაკავშირებით მოხდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისაგან ახსნა-განმარტებების მიღება.

სააგენტომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი და მოკვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალები განიხილა და შეაფასა კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტთან („მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი

ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს“) მიმართებით. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტებმა თითქმის ყველა შემთხვევაში დაასაბუთეს კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები, რაც ძირითად შემთხვევებში გამოიხატებოდა კონკრეტული სატენდერო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობაში (მაგ: ძრავის მოცულობა, ავტომანქანის ზომები, ფერი, გარანტია, სხვა ტექნიკური მახასიათებლები), განსაზღვრულ დროში ავტომანქანების მიწოდების შეუძლებლობაში, გამოცხადებულ შესასყიდ ფასზე ავტომანქანის თვითღირებულების გადამეტებაში და ა.შ.

საბოლოოდ, მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში მიღებული მოცულობითი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, სააგენტომ 2018 წლის 6 ივლისის ბრძანებით დაადგინა, რომ მომჩივანის მიერ მითითებულ სახელმწიფო ტენდერებში არ გამოიკვეთა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან შეთანხმებული, მოჩვენებითი, ფიქტიური კონკურენციის, ან ტენდერების ფარგლებში შეთანხმებული ფასწარმოქმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააგენტომ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ ორი რეკომენდაცია შეიმუშავა. მიღებული რეკომენდაციები ითვალისწინებს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების მიზნით სატენდერო პირობებისა და ბაზრის კვლევის მეთოდიკის დანერგვა/სრულყოფას, ასევე საკანონმდებლო წინადადების შემუშავებას, რათა შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალოთ ბაზრის კვლევის დოკუმენტის ატვირთვა ელექტრონულ სისტემაში, ტენდერის გამოცხადებისას.

❖

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევა

2018 წლის 7 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე. საჩივარი ეხებოდა, სახელმწიფო შესყიდვების წესით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საბანკო გარანტიების მოთხოვნის შეუსაბამობას კონკურენციის კანონის მოთხოვნებთან.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სააგენტომ დაადგინა, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიების გაცემის უფლება აქვთ როგორც ბანკებს, ისე სადაზღვევო კომპანიებს. მოპასუხის მიერ განსაზღვრული სადავო სატენდერო პირობა კი ქმნის შესაბამის ბაზარზე შესვლის ხელოვნურ ბარიერს, იწვევს სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის შეფერხებას და შესაბამისი ბაზრიდან მათ გამორიცხვას; სადავო სატენდერო პირობის სატენდერო დოკუმენტაციაში არსებობა არ შეიძლება გამართლდეს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით და მოთხოვნებში მისი გათვალისწინება სცილდება შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს. ამდენად, სააგენტომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სუბიექტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საბანკო გარანტიების მოთხოვნა ზღუდავს კონკურენციას და წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას.

სააგენტოს პოზიციით, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან, სადაზღვევო სექტორის გამკაცრებული რეგულირების პირობებში, საბანკო და სადაზღვევო სექტორების განმასხვავებელი თავისებურებები ვერ ამართლებს მსგავსი შეზღუდვის დაწესებას და ამ მოთხოვნის დაწესებით, შემსყიდველი ორგანიზაციები საბანკო დაწესებულებებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით.

ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა რეკომენდაციები როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მიმართ.

❖

შპს „დაზგას“ საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა

2018 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მოკვლევა, რომელიც მიმდინარეობდა შპს „დაზგას“ საჩივრის საფუძველზე და შეეხებოდა შპს „სოლვეის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

როგორც საჩივარშია აღნიშნული, კომპანიამ განიზრახა საკუთარ საფირმო სახელწოდებასთან პირდაპირ კავშირში მყოფი დომენის რეგისტრაცია ქართული ასოებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დომენი (დაზგა.გე) რეგისტრირებული იყო მისი კონკურენტი კომპანიის - შპს „სოლვეის“ სასარგებლოდ.

სააგენტომ მიიჩნია, რომ შპს „სოლვეის“ მხრიდან „დაზგა.გე“ დომენის გამოყენება წარმოადგენდა კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომუნიკაციის საშუალებას, კერძოდ კი რეკლამას. სააგენტოს პოზიციით, დაზგა.გე-ზე შესვლის შემთხვევაში, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მომხმარებელს შესაძლოა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი შედის შპს „დაზგას“ ვებ-გვერდზე, შემდეგ გარემოებათა გამო: 1) აღნიშნული გვერდის დომენი წარმოადგენს არათუ სიტყვა „დაზგის“ შინაარსობრივ თარგმანსა და მის პერიფრაზს, არამედ ის პირდაპირი ანალოგია dazga.ge ვებ-გვერდისა იმ განსხვავებით, რომ დაზგა.გე-ს შემთხვევაში გამოყენებულია ქართული დამწერლობა; 2) კომპანიების მიერ შეთავაზებული საქონელი და მომსახურება მსგავსია და ისინი ერთსა და იმავე საფასო კატეგორიაში ოპერირებენ.

სააგენტომ მიიჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი განმასხვავებელი ნიშნები იმისათვის, რომ ზემოთ აღწერილი მსგავსების პირობებში, მომხმარებელმა ცალსახად შეძლოს, სრული კონტროლი იქონიოს საკუთარ არჩევანზე, როგორც ვებ-გვერდის მისამართის პირდაპირ მითითებისას, ასევე საძიებო სისტემაში ძიების შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების მომენტში. შესაბამისად, სახეზეა მომხმარებლის ინტერესების შეზღუდვა, შეცდომაში შემყვანი რეკლამის გზით.

ამდენად, სააგენტომ დაადგინა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც გამოხატული იყო „დაზგა.გე“ დომენის შეცდომაში შემყვანი სახით გამოყენებაში. შპს „სოლვეის“ დაევალა აღნიშნული დარღვევის აღმოფხვრა - მის მფლობელობაში არსებული დომენის (დაზგა.გე) ქვეშ მოქმედ ვებ-გვერდზე ზედა მარცხენა ან მარჯვენა კუთხეში მომხმარებლისათვის ადვილად აღქმადი ბანერის განთავსების გზით, სადაც მიეთითებოდა აღნიშნული ვებგვერდის შპს „დაზგასთან“ და ვებგვერდ www.dazga.ge-სთან კავშირის არარსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ დაუყოვნებლივ შეასრულა სააგენტოს ხსენებული მითითება.

2.2. მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები

2017 წლის განმავლობაში, სააგენტომ მიიღო 3 გადაწყვეტილება სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. ერთ შემთხვევაში შემოსული იყო განცხადება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო 2 საკითხი წარმოდგენილი იყო საჩივრის ფორმით.



ზემოაღნიშნული საკითხებიდან, 2 მათგანი ეხებოდა კანონის მე-6 მუხლის დარღვევას, ხოლო 1 მიუთითებდა კანონის 11³ მუხლის დარღვევაზე.



1) 2018 წლის 4 მაისის ბრძანებით, სააგენტომ დაუშვებლად ცნო ააიპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადება, რომელიც შეეხებოდა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ მიერ, საპასპორტო მომსახურებაზე არასამართლიანი ფასის დაწესების გზით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს. განმცხადებლის ინფორმაციით, თბილისის აეროპორტში საპასპორტო კონტროლი თითოეულ მგზავრს უჯდება 17 აშშ დოლარი, (მაშინ, როცა სტამბულის საბიჰა გოგჩენის აეროპორტში საპასპორტო კონტროლი მხოლოდ 8 აშშ დოლარს შეადგენს), რაც არასამართლიანია და შესაძლოა არღვევდეს კონკურენციის კანონმდებლობას. ამასთან, განმცხადებლის ვარაუდით, შესაძლოა, შპს „ტავ ურბან საქართველო“, (როგორც თურქული კომპანია), მომსახურების შეღავათიან პირობებს სთავაზობდეს მხოლოდ თურქულ ავიაკომპანიებს და შედეგად, არათურქულ ავიაკომპანიებს დისკრიმინაციულ და არათანაბარ პირობებში უწევდეთ ოპერირება.

მიღებულ გადაწყვეტილებაში სააგენტომ განმარტა, რომ საპასპორტო კონტროლს ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია და მასზე კანონით გათვალისწინებული არანაირი დამატებითი გადასახადი და მოსაკრებელი არ არის დადგენილი. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ბილეთებში მონიშნულ გადასახადს, ის არის ავიაკომპანია PEGASUS AIRLINES-ის გადასახადი, რომელიც მოიცავს ავიაკომპანიის მიერ ბილეთების კონტროლისა და ბარგის დამუშავების მომსახურებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ საფასურს ადგენს არა აეროპორტის სერვისებისა და სახმელეთო მომსახურების უზრუნველმყოფი და განმახორციელებელი კომპანია (შპს „ტავ ურბან საქართველო“), არამედ თვით ის ავიაკომპანია, ვისი ბილეთის შეძენასაც ახორციელებს მომხმარებელი. ამდენად, სააგენტოს პოზიციით, თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი მომსახურების საფასურის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრის კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის თაობაზე, ამ ეჭვის ადრესატი უნდა იყოს ამ საფასურის განმსაზღვრელი ეკონომიკური აგენტი (შესაბამისი ავიაკომპანია) და არა მოპასუხედ დასახელებული შპს „ტავ ურბან საქართველო“, რომელსაც კავშირი არ აქვს ამ საფასურის განსაზღვრასთან.

კონკრეტული ავიაკომპანიებისათვის შეღავათიანი მომსახურების პირობების დაწესებასთან დაკავშირებით, სააგენტომ დაადგინა, რომ მოპასუხე კომპანიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ შეთანხმებით ჰქონდა დაწესებული მგზავრის მოსაკრებელი, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ფრენებზე. ეს მოსაკრებელი გამოცხადებულია საერთაშორისო ცირკულარებში, ერთნაირია როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ავიაკომპანიებისათვის და არცერთ ავიაკომპანიას შეღავათი ან განსხვავებული პირობა არ აქვს. ამდენად, განმცხადებლისა და მოპასუხის პოზიციათა შეპირისპირების, ასევე, საჯარო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების შეჯერებისა და ანალიზის

შედეგად, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მიიჩნია, რომ განცხადებამ ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობით დადგენილი მატერიალური დასაშვებობის სტანდარტი (მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტი) და მის საფუძველზე მოკვლევის დაწყება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

2) 2018 წლის 7 მაისის ბრძანებით, სააგენტომ დაუშვებლად ცნო **ქალაქ გორში, ტაქსებით მომსახურეობის ბაზარზე** მოქმედი 11 სუბიექტის ერთობლივი საჩივარი, შპს „ტექნოკომის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მომჩივნები არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევდნენ მოპასუხის მხრიდან კლიენტებისთვის დაბალი ფასის შეთავაზებას და მძღოლებისათვის კლიენტის მიერ მიღებულ ანაზღაურებაზე თანხის დამატებას, ასევე, მომხმარებლებისათვის ერთჯერადად, საჩუქრის სახით 4 ლარის დარიცხვას, რაც იწვევდა კონკურენტებისგან როგორც კლიენტების, ისე მძღოლების გადაბირებას.

სააგენტომ თავდაპირველად განმარტა, რომ კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტში არასამართლიანი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით არანაირი პირდაპირი მითითება არ არის მოცემული. იგი არც ისეთ ზოგად ნორმას შეიცავს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა არასამართლიანად დაბალი ფასების დაწესების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირება. აქედან გამომდინარე, მომხმარებლებისათვის კონკრეტულ მომსახურებაზე დაბალი ტარიფის შეთავაზება კანონის მე-11³ მუხლით არ არის აკრძალული.

მძღოლებისათვის კლიენტის მიერ მიღებულ ანაზღაურებაზე თანხის დამატებასთან დაკავშირებით, სააგენტომ აღნიშნა, რომ ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას შესაძლოა წარმოადგენდეს ეკონომიკური აგენტების მიერ, მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით, კანონმდებლობის ფარგლებში საკუთარი პროდუქტის ნებისმიერი საშუალებით პოპულარიზაცია. შპს „ტექნოკომის“ განსახილველი ქმედება ფუნქციურად მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ საქმიანობასთან და მას რეალურად შესწევს იმის უნარი, რომ მოახდინოს სერვისი „მაქსიმის“ პოპულარიზაცია. სააგენტომ მიიჩნია, რომ ქმედება არ ემთხვევა კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე შემადგენლობას და შესაბამისად, შეუძლებელია მისი არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირება.

მობილური აპლიკაციის პოპულარიზაციის მიზნით, მგზავრებთან მიმართებით პერიოდულად ჩატარებულ პრომო აქციებთან მიმართებაში, სააგენტომ მიუთითა, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის პროცესში მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით ღონისძიებათა სახეების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა, ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს და გამოხატულებას წარმოადგენს. იგი უბიძგებს ეკონომიკურ აგენტებს მუდმივად იზრუნონ საკუთარი საქონლისა და მომსახურების

ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული ქმედება სააგენტომ შეაფასა, როგორც შპს „ტექნოკომის“ მიერ მგზავრებთან მიმართებაში განხორციელებული ღონისძიება, რომელიც არ შეიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნიშნებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილმა საჩივარმა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობები და მოკვლევის დაწყება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

3) სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 მაისის ბრძანების შესაბამისად, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოკვლევის დაწყება კურორტ საირმის ტერიტორიაზე მოქმედი 6 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი საჩივარის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა შპს „კურორტი საირმის“ მხრიდან კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს. მომჩივანები აღნიშნავდნენ, რომ შპს „კურორტი საირმე“ მომჩივანი სასტუმროების დამსვენებლებს უზღუდავდა საირმის მინერალური წყლითა და ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობას. ასევე, მომჩივანთა პოზიციით, საკურორტო პოლიკლინიკა და სარელაქსაციო ცენტრი, რომელიც მოპასუხის საკუთრებაა, თავისი სასტუმროს დამსვენებლებს შეღავათიან ფასებში ემსახურებოდა, ხოლო სხვა სასტუმროს დამსვენებლებს უწევდათ ორმაგი თანხის გადახდა კონკრეტულ მომსახურებებში.

როგორც სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, სადავო ტერიტორია (სადაც განთავსებულია წყლის ბიუვეტები, პარკი, პოლიკლინიკა, სარელაქსაციო ცენტრი და სხვა.) წარმოადგენდა შპს „კურორტი საირმის“ საკუთრებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მომჩივნები ამ ქონებას განიხილავდნენ, როგორც საერთო სარგებლობის ობიექტს და ითხოვდნენ მასზე შეუზღუდავ დაშვებას, ყოველგვარი საფასურის გარეშე. სააგენტომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს „კურორტი საირმე“ თავის ტერიტორიაზე (წყლის ბიუვეტების გარდა) არ უზრუნველყოფდა ნებისმიერი პირის შეუზღუდავ დაშვებას, საზღაურის გარეშე, თეორიულადაც კი ვერ იქნებოდა განხილული, როგორც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა კონკურენტებთან არათანაბარი და დისკრიმინაციული მიდგომის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები. რაც შეეხება, ხსენებული ტერიტორიით სარგებლობისათვის სახელშეკრულებო ფასის განსაზღვრის პროცესში კონკურენციის დარღვევას, სააგენტოს პოზიციით, მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავდა მტკიცებულებებს რაიმე ტიპის დისკრიმინაციული მიდგომისა და ცალკეული პირების არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენების თაობაზე.

სააგენტომ მიიჩნია, რომ საკურორტო პოლიკლინიკითა და სარელაქსაციო ცენტრით სარგებლობის საფასურის დისკრიმინაციულობასთან დაკავშირებით, მომჩივნებს შეეძლოთ

მოეპოვებინათ შესაბამისი მტკიცებულებები (თუნდაც დამსვენებელთათვის გადაცემული საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკის სახით), რომელიც დაადასტურებდა შპს „კურორტი საირმის“ მიმართ წარდგენილ პრეტენზიას. თუმცა, წაყენებული ბრალდების დასადასტურებლად არანაირი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი.

ამდენად, ხსენებულ საკითხზე მოკვლევის დაწყება, შესაბამისი მტკიცებულებებისა და გონივრული ეჭვის არარსებობის პირობებში, სააგენტომ მიზანშეუწონლად მიიჩნია. თუმცა შპს „კურორტ საირმეს“ მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომ ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფილი იქნეს საირმის მინერალურ წყალთან თანაბარი და შეუზღუდავი დაშვება.

3. კონცენტრაცია

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 2 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე და ორივე მათგანი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია.

❖

შპს „მედკაპიტალისა“ და შპს „მედისონ ჰოლდინგის“ კონცენტრაცია

2018 წლის 8 ივნისის ბრძანებით საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება შპს „მედკაპიტალის“ მიერ შპს „მედისონ ჰოლდინგის“ 100% წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონტენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

სააგენტო დაეთანხმა კონცენტრაციის შეტყობინებაში შემოთავაზებულ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას და ბაზრის პროდუქციულ საზღვრად განხილულ იქნა ამბულატორიული მომსახურება, ხოლო გეოგრაფიულ საზღვრად - თბილისის ტერიტორია, ვინაიდან კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტები მხოლოდ თბილისში ახორციელებდნენ ძირითადად, ამბულატორიული მომსახურების მიწოდებას.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსალოდნელი კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, ბაზარზე არ შეიცვლებოდა კონცენტრაციის დონე. კერძოდ, შესაბამისი ბაზარი მოსალოდნელ კონცენტრაციამდე და კონცენტრაციის შემთხვევაშიც

რჩებოდა დაბალკონცენტრირებული და ბაზრის სტრუქტურის ცვლილება შეფასების ინდექსის მიხედვით თავსებადი იყო კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან.

ამდენად, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

❖

შპს „ამერიტექისა“ და შპს „სმაილის“ კონცენტრაცია

2018 წლის 6 ივლისს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა შპს „ამერიტექსა“ და შპს „სმაილს“ შორის განსახორციელებელ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა, ხსენებული დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნებას. დაგეგმილი კონცენტრაციის მიზნად დასახელებულ იქნა ერთობლივი საწარმოს შექმნის გზით, ელექტროსაქონლის ბაზარზე სხვადასხვა ბრენდების ელექტროსაქონლისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცალო რეალიზაციის განხორციელება.

სააგენტოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მიღებული დოკუმენტაციის ანალიზის, საერთაშორისო მიდგომების დამუშავების, სააგენტოს პრაქტიკისა და შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლის შედეგებს.

სააგენტომ, შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაადგინა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები და კონცენტრაციის დონე. როგორც აღმოჩნდა, კონცენტრაციის შემთხვევაში, ელექტროსაქონლის იმპორტის, საბითუმო და საცალო გაყიდვების სასაქონლო ბაზრის სტრუქტურის მახასიათებელი ინდექსი (HHI) არ აღემატება 1250 ერთეულს. ამდენად, კონცენტრაციის შედეგად, არ ხდება ეკონომიკურ აგენტთა წილების მნიშვნელოვანი ზრდა და არსებითად არ იცვლება კონცენტრაციის დონე არცერთ სასაქონლო ბაზარზე, სადაც მხარეებს უფიქსირდება თანაკვეთა.

ამდენად, დაგეგმილი კონცენტრაცია სააგენტომ კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია და გასცა შესაბამისი თანხმობა.

4. მონიტორინგი

2018 წლის მანძილზე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო ახორციელებდა 6 სასაქონლო/მომსახურების ბაზრის მონიტორინგს. ესენია:

1) საავტომობილო საწვავისა და გაზის ბაზრის მონიტორინგი;
2) ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მონიტორინგი;
3) სასტუმროების ონლაინ-დაჯავშნის ბაზრის მონიტორინგი;
4) ავტო-დაზღვევის ბაზრის მონიტორინგი;
5) ჩვილ ბავშვთა კვების ბაზრის მონიტორინგი;
6) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგი;

2018 წლის ბოლოს, „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილების შესრულების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტების გამოვლენისა და მონიტორინგის 2 წლიანი სამოქმედო გეგმა და დაიწყო ცალკეული ფარმაცევტული პროდუქტების ბაზრების მონიტორინგის პროცესი.

5. რეკომენდაციები/გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულ იქნა 4 რეკომენდაცია, აქედან:

- სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოზე - 2 რეკომენდაცია;
- შემსყიდველ ორგანიზაციებზე - 1 რეკომენდაცია;
- საქართველოს ბიზნესომბუდსმენზე - 1 რეკომენდაცია.

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ასევე განახორციელა 2014-2017 წლებში გაცემული **რეკომენდაციების მონიტორინგი.** მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ 2014-2017 წლებში სააგენტოს მიერ გაცემულია 64 რეკომენდაცია, რომელთაგანაც:

- 50 რეკომენდაცია მიმართული იყო სახელმწიფო ხელისუფლების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (მათ შორის საქართველოს მთავრობისადმი);
- 14 რეკომენდაცია მიმართული იყო ეკონომიკური აგენტებისადმი.



გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა შეასრულეს 36 რეკომენდაცია, ხოლო ეკონომიკურმა აგენტებმა - 14 რეკომენდაცია. ანუ, გაცემული რეკომენდაციების 78% შესრულებულია, ხოლო 22% შესასრულებელია ან შესრულების პროცესშია.



6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კონკურენციის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან. აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, პრეზენტაციების წარდგენის, დისკუსიებში ჩართულობის, ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ურთიერთგაცვლისა თუ სხვა ფორმატის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო დონეზე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდას.

კონკურენციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ღონისძიებებში ჩართულობა, კონტაქტების დამყარება და სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვების ეფექტიან საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსათვის 2018 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობის კუთხით. სააგენტოს თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმსა თუ კონფერენციაში, გასცნობოდნენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, დასწრებოდნენ მაღალი დონის ორმხრივ თუ

მრავალმხრივ შეხვედრებს. აღნიშნულის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სააგენტოს ცნობადობა და ამასთან, განხორციელდა - მიღებული ცოდნის სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენება.

❖

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

საქართველოს კონკურენციის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ორგანიზაციის მიერ მოწყობილ სემინარებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა ხელს უწყობს სააგენტოს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

2018 წლის მანძილზე, OECD-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ შემდეგ ღონისძიებებს:

- **OECD-ის კონკურენციის ფორუმი** - რომელიც ქ. ალმათიში გაიმართა. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებაზე ისაუბრა. ფორუმზე განსახილველ თემებს შორის იყო: მონოპოლიები და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და პრევენციის მეთოდიკა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ა.შ. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, უწყებებს შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ საქმიანი შეხვედრები გამართა მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელ პირებთან, ასევე OECD-ის, UNCTAD-ის, კანადის კონკურენციის ბიუროს წარმომადგენლებთან.

- **OECD-ის კონკურენციის გლობალური ფორუმის მე-17 შეხვედრა** - 29-30 ნოემბერს, საფრანგეთში, პარიზში გაიმართა. ფორუმის ფარგლებში, ნოდარ ხადურმა მონაწილეობა მიიღო OECD-ისა და უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ ორგანიზებულ კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელ პირთა შეხვედრაში. ასევე შედგა ორმხრივი შეხვედრები გერმანიის, რუმინეთის, ლატვიის, ლიეტუვას, უკრაინის კონკურენციის ორგანოთა პირველ პირებთან, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორ - ვილიამ კოვაჩიჩთან, OECD-ის კონკურენციის განყოფილების ხელმძღვანელ პირებთან - ფრედერიკ ჯენისთან, ანტონიო გომესთან და საბინე ზიგელსკისთან. ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა

მოადგილემ, დავით ჭიჭინაძემ მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში - კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში მრავალმხრივი ჩარჩო შეთანხმების შემუშავების თაობაზე.

- კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები დაესწრნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ ორგანიზებულ 2 სემინარს - „კონკურენციის სამართლისა და პროცედურების საწყისები“ და „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების გამოვლენის საშუალებები“.

❖

სოფიას კონკურენციის ფორუმი

საქართველოს კონკურენციის სააგენტო არის სოფიას კონკურენციის ფორუმის წევრი (SFC) და ასევე, აქტიურად თანამშრომლობს ბულგარეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისიასთან.

სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადური და სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დავით ჭიჭინაძე, ბულგარეთის კონკურენციის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი პირის მოწვევით, კონკურენციის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრას დაესწრნენ, რომელიც ევროკავშირის საბჭოს ბულგარეთის თავმჯდომარეობის აღნიშვნის ფარგლებში 2018 წლის 31 მაისს, ქ. სოფიაში გაიმართა.

შეხვედრა ევროპის კონკურენციის კანონმდებლობის ძირითად საკანონმდებლო პროცესებსა და ენერგოსექტორში კონკურენციის ორგანოების წინაშე მდგარ გამოწვევებს ეხებოდა. ღონისძიებაზე ასევე განიხილებოდა - კონკურენციის ორგანოების ეფექტიანი მუშაობისა და ბაზრის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკა, კონკურენციის სამართალდარღვევების გამოვლენისათვის აუცილებელი უფლებამოსილებანი, ევროპის კონკურენციის ქსელის პლიუს დირექტივა, ზიანის ანაზღაურების დირექტივა და ა.შ.

❖

საერთაშორისო კონკურენციის ქსელი

საქართველოს კონკურენციის სააგენტო გაწევრიანებულია საერთაშორისო კონკურენციის ქსელში (ICN), რომელიც კონკურენციის სამართლის აღსრულების საკითხებზე მომუშავე უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციაა.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სამმა წარმომადგენელმა ICN-ის 2018 წლის წლიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ინდოეთში, ქალაქ ნიუ დელიში ჩატარდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო კონკურენციის საერთაშორისო ქსელის თითქმის ყველა წევრი უწყება და დისკუსიის ფორმატში გამოცდილების, მიღწევების, შედეგების გაზიარება-განხილვა აქტიურად მიმდინარეობდა. კონფერენცია მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთ მთავარ თემას სწორედ ახლადშექმნილი კონკურენციის უწყებების განვითარების პერსპექტივები წარმოადგენდა.

❖

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია

2018 წლის 9-13 ივლისს, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნოდარ ხადურმა, მოადგილეებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) შემდეგ ღონისძიებებში:

- ✓ მომხმარებელთა დაცვის სამართლისა და პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორისი ექსპერტების III სესია;
- ✓ კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორისი ექსპერტების XVII სესია;
- ✓ კვლევებში თანამშრომლობის პლატფორმის (RPP) მეცხრე შეხვედრა.

სააგენტოს თავმჯდომარე ქალაქ ჟენევაში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც კონკურენციის კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მომავალ

კანონმდებლობაზე ისაუბრა, რომლის აღმასრულებელ უწყებადაც ასევე კონკურენციის სააგენტო მოიაზრება.

ვიზიტის ფარგლებში, ნოდარ ხადური ჟენევაში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) გენერალურ მდივანს მუხისა კიტუის შეხვდა. მხარეებმა შეხვედრისას UNCTAD-ის მიერ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა/შეფასების („PEER REVIEW“) განხორციელების შესაძლებლობა მიმოიხილეს. UNCTAD-ის გენერალურმა მდივანმა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვის ჩატარებისა და სამდივნოს მხარდაჭერის მიმართულებით მზადყოფნა გამოთქვა.

❖

ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნოდარ ხადურმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) 66-ე ყოველწლიურ ანტიმონოპოლიურ საგაზაფხულო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: ანტიმონოპოლიური სამართლის პრიორიტეტები; შერწყმების კონტროლის თავისებურებები; მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების ეფექტური საშუალებები; აღსრულების მექანიზმები და რისკები; ტექნოლოგიები, ინოვაციები და ა.შ.

ღონისძიების პარალელურად, სააგენტოს თავმჯდომარემ აშშ-ის ფედერალური ვაჭრობის კომისიის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები, რომელიც ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს ეხებოდა.

ასევე შედგა ორმხრივი შეხვედრები მეგობარი სახელმწიფოების კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებთან.

❖

თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროსთან

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო უწყებებთან. 10-12 სექტემბერს თბილისში, სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის საკითხებზე კონფერენცია გაიმართა, რომელსაც თანაორგანიზებას უწევდნენ - ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP), საქართველოში აშშ-ის საელჩო და საქართველოს კონკურენციის სააგენტო. ღონისძიება განხორციელდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის კონკურენციის განყოფილების ექსპერტების ჩართულობით.

კონფერენცია მოიცავდა შემდეგ თემებს: კონკურენციის სამართლის განვითარების უახლესი ტენდენციები საქართველოში; სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებების გამოვლენის პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში; კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების თავისებურებები აშშ-ში და ა.შ.

კონფერენციის მსვლელობაში, კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა 30-მდე სახელმწიფო უწყების - სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მარეგულირებელი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი.

❖

შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სააგენტოს საქმიანობის ხელშეწყობის, მისი შესაძლებლობების გაზრდისა და განვითარების მიზნით, 2018 წლის მანძილზე გაიმართა არაერთი შეხვედრა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ შორის:

- შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთან სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში - ბრუნო ბალვანერასთან;
- შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან - იანოშ ჰერმანთან;
- შეხვედრა ლიეტუვას რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოს თავმჯდომარესთან - შარუნას კესერაუსკასთან;
- შეხვედრა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) გენერალურ მდივანთან - მუხისა კიტუისთან და კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელთან - ტერესა მორეირასთან;

- შეხვედრა აშშ-ის ფედერალური ვაჭრობის კომისიის საერთაშორისო ურთიერთობის ოფისის ასოცირებულ დირექტორთან - რასელ დამტოფთან;
- შეხვედრა OECD-ის კონკურენციის განყოფილების ხელმძღვანელთან - ანტონიო გომესთან;
- შეხვედრა ევროპული ბიზნეს ასოციაციის ხელმძღვანელთან საქართველოში - დევიდ ლოურენს ლისთან;
- შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლებთან - ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამის ხელმძღვანელთან - თომას მაიერთან და სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორისა და პროფესიული განათლების განვითარების პროგრამის ხელმძღვანელთან - კატია კამერერთან;

- შეხვედრა ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის (DG Competition) გენერალურ დირექტორთან - იოჰანეს ლეიტენბერგერთან;
- შეხვედრა ევროკომისიის კონკურენციის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელ - ანა-სოფია დუპონთან, ვაჭრობის დირექტორატის წარმომადგენელ - რიკე მენგელ იორგენსენთან;
- შეხვედრა მსოფლიო ბანკის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკური პროგრამების ხელმძღვანელთან - ჟენევიევ ბოიღოსთან;

- შეხვედრა ევროკავშირის პროექტის - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ განმახორციელებელი კომპანიის B&S Europe-ის დირექტორთან - რაფაელ კომენჟთან და დირექტორის მოადგილე - მიჰაელა დასკულტუსთან.

7. ევროკავშირის დახმარების პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“

❖

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა” 2017 წლის იანვარში დაიწყო. პროექტის ხანგრძლივობა ორი წლის ვადით განისაზღვრა, თუმცა 2018 წლის ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის 6 თვის ვადით გაგრძელების შესახებ. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო კონსორციუმი, რომელსაც “Business and Strategies Europe” ხელმძღვანელობს, ხოლო ერთ-ერთი წევრი ლიეტუვას რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოა.

პროექტის ძირითად ამოცანას, სააგენტოს თანამშრომლებისათვის პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესების მეშვეობით, კონკურენციის კანონის ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროექტი სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

- გაზარდოს და გააძლიეროს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად;
- გააუმჯობესოს თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის;
- ხელი შეუწყოს ქართულ საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დამკვიდრებას.

❖

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი აქტივობები

ა) ღონისძიებები კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოებაში კონკურენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით

2018 წლის მანძილზე, ევროკავშირის დახმარების პროექტის ფარგლებში, გაიმართა 15 ღონისძიება, რომელთა მიზანს კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის გაზრდა და საზოგადოებაში კონკურენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. სემინარებისა და პრეზენტაციების სამიზნე აუდიტორია გახლდათ ბიზნეს სექტორის, დარგობრივი ასოციაციების, მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და საქართველოს ეროვნული ბანკი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები, მოსამართლეები, ჟურნალისტები და სხვა დაინტერესებული პირები.

- *მეორე საერთაშორისო კონფერენცია კონკურენციის სფეროში*

2018 წლის 28-29 სექტემბერს გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“. კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეებს.

კონფერენციის ფარგლებში, 28 ოქტომბერს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადურმა, 3 ქვეყნის - ბულგარეთის, საბერძნეთისა და უკრაინის კონკურენციის უწყებების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს მოაწერა ხელი. ასევე თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენს შორის.

ღონისძიებას 20-ზე მეტი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელი (ავსტრია, თურქეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, მოლდოვა, ჩეხეთი, რუმინეთი, უკრაინა და ა.შ.) და ორასამდე მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის: ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, ნოდარ ხადური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, რომან კაკულია, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსი, ვინსენტ რეი, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელი, აურელიო ლა ტორე, B&S Europe-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, მიჰაელა დასკულტუ და სხვ.

მონაწილეების გამოსვლები შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კონკურენციის აღსრულების გაუმჯობესების გზები, კონკურენციის პოლიტიკის ტენდენციები და გამოწვევები, საქართველოს კონკურენციის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პერსპექტივები და ა.შ.

- ***სემინარები მოსამართლეებისათვის კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე***

2018 წლის განმავლობაში მოსამართლეთათვის სამ ეტაპად ჩატარდა სემინარები კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. სემინარებს ესწრებოდნენ სამივე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები და მათი თანაშემწეები.

სემინარებს უძღვებოდნენ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებიდან (საფრანგეთი, შვეიცარია, ლიეტუვა, ბელგია, ლუქსემბურგი) მოწვეული ექსპერტები კონკურენციის დარგში. ღონისძიებების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორებიცაა, კონკურენციის საწინაღმდეგო შეთანხმებების სახეები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეთანხმებები, დომინირებული მდგომარეობის ცნება, მისი განსაზღვრის ფაქტორები და მეთოდები, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახეები, კონკურენციის უწყებების უფლებამოსილებები საქმის მოკვლევის პროცესში, მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვის გარანტიები, სასამართლოს როლი კონკურენციის უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად განხილვაში, თანამშრომლობის პროგრამა, კონცენტრაციების კონტროლი, კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, სახელმწიფო დახმარება და ა.შ.

- *სემინარები ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისათვის*

ლიეტუვას კონკურენციის საბჭოს აქტიური ჩართულობით გაიმართა სემინარები საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომლებისათვის. სემინარების ფარგლებში განხილულ იქნა კონკურენციის აღსრულების საკითხები რეგულირებად სექტორებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე, ასევე გაზიარებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკა ამ მიმართულებით. სემინარების ფარგლებში ასევე განხილულ იქნა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები. სემინარების მთავარ მიზანს წარმოადგენდა რეგულირებად სფეროებში კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება, ინსტიტუციური დიალოგის ხელშეწყობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ბ) ღონისძიებები კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით

- 2018 წლის განმავლობაში პროექტის ხელშეწყობით განხორციელდა 3 სტაჟირება, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის სააგენტოს 6 თანამშრომელს საშუალება მიეცა, ადგილზე გასცნობოდა გერმანიის, ავსტრიის, პორტუგალიისა და რუმინეთის კონკურენციის უწყებების მუშაობის პროცესს და უწყებების თანამშრომლებისაგან მიეღოთ მნიშვნელოვანი გამოცდილება კონკურენციის სფეროში მიმდინარე აქტუალურ, პრაქტიკულ საკითხებზე.

- 2018 წლის ოქტომბერში შედგა 1 კვირიანი სასწავლო ვიზიტი ევროკომისიის კონკურენციის გენერალურ დირექტორატში (DG Competition), რომელშიც სააგენტოს 7-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ კონკურენციის გენერალური დირექტორატის მიერ ორგანიზებულ ტრენინგთა ციკლს და მიეღოთ დეტალური ინფორმაცია უწყების საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების თაობაზე. ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს თავმჯდომარემ ოფიციალური შეხვედრები გამართა DG Competition-სა და DG Near-ის წარმომადგენლებთან. სააგენტოს წარმომადგენლები ასევე ეწვივნენ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (ლუქსემბურგი), სადაც მოსამართლეების მიერ მოხდა კონკურენციის მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და ტენდენციების გაზიარება სასამართლო წარმოების კუთხით.

- კონკურენციის საკითხებზე მომუშავე მოწვეული ევროპელი ექსპერტების მიერ, სააგენტოს თანამშრომელთათვის ჩატარდა 10 ტრენინგი, კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ტრენინგები მოიცავდა განსხვავებულ თემატიკას, კერძოდ შეეხებოდა კონცენტრაციების რეგულირებას, სახელმწიფო დახმარებას, ჯარიმების დაკისრებისა და დაანგარიშების წესს, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ და დისკრიმინაციულ ბარიერებს, საქმის მოკვლევის ეტაპებს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებთან მიმართებით, ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგს და ა.შ. სააგენტოს თანამშრომლებმა, ასევე გაიარეს პროგრამა „სტატას“ მეორე ეტაპი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა აისეტში (ISET), რომლის მეშვეობითაც, გაიღრმავეს ცოდნა პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპებისა და საშუალებების შესახებ.

- პროექტის ფარგლებში, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტი: სააგენტოს თავმჯდომარესა და წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) წლიურ კონფერენციას დელიში, OECD-ის მიერ ორგანიზებულ კონკურენციის გლობალურ ფორუმს პარიზში და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ორგანოს (UNCTAD) კონკურენციის პოლიტიკის შესახებ მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრას ჟენევაში. სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ავსტრიისა და ბულგარეთის კონკურენციის უწყებების მიერ ორგანიზებულ ევროპის კონკურენციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

გ) ღონისძიებები კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით

2018 წლის განმავლობაში დაიხვეწა და დასრულებული სახე მიეცა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებების პროექტს. ცვლილებებზე მუშაობის პროცესში, გაიმართა არაერთი შეხვედრა სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, მარეგულირებელი ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2018 წლის 27 სექტემბერს, ევროკავშირის პროექტის ორგანიზებით, გაიმართა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში

განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, მარეგულირებელი ორგანოების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ექსპერტები, ლიეტუვას და რუმინეთის კონკურენციის საბჭოს თავმჯდომარეები. მოწვეულმა ექსპერტებმა, საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასეს კანონპროექტი, ცვლილებების საჭიროების შესახებ წარმოადგინეს საკუთარი არგუმენტები და უპასუხეს უწყებების კითხვებს.

8. თანამშრომლობის მემორანდუმები და პრაქტიკული თანამშრომლობის საკითხები

2018 წელს, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ აქტიურად გააგრძელა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, შესაბამის უწყებებთან კონტაქტების დამყარების, მემორანდუმების გაფორმებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის პროცესი.

წლის განმავლობაში გაფორმდა 11 მემორანდუმი, მათ შორის 5 - მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან, ხოლო 6 - საქართველოში მოქმედ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებთან. მემორანდუმების ფარგლებში, მხარეთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაციები.

❖

მეგობარი ქვეყნების კონკურენციის უწყებებთან გაფორმებული მემორანდუმები

- 2018 წლის 7 სექტემბერს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და მონღოლეთის სამართლიანი კონკურენციისა და მომხმარებელთა

უფლებების დაცვის უწყებას შორის. მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით.

- 2018 წლის 28 სექტემბერს თბილისში ჩატარებული კონკურენციის მეორე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 3 ქვეყნის კონკურენციის უწყებასთან:

  - ✓ უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტი;
  - ✓ საბერძნეთის კონკურენციის კომისია;
  - ✓ ბულგარეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია.

კოლეგა უწყებებთან გაფორმებული მემორანდუმები მიზნად ისახავს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას. მემორანდუმების ფარგლებში, შესაძლებელია განხორციელდეს თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება, კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე და ა.შ.

- 2018 წლის 30 ნოემბერს, პარიზში, გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და პერუს თავისუფალი კონკურენციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს (Indecopi) შორის. მემორანდუმის თანახმად, თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ინფორმაციის გაცვლა მხარეთა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მეშვეობით; გამოცდილების გაზიარება მხარეთა სახელმწიფოებში კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული მოკვლევების თაობაზე; გამოცდილების გაზიარება კონკურენციის ორგანოებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

❖

სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები

- 2018 წლის 5 თებერვალს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის. მემორანდუმის თანახმად, მხარეებმა უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში თავისუფალი კონკურენციის დაცვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით.

- 2018 წლის 22 თებერვალს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა და თავად ასოციაციის დაინტერესებული წევრებისათვის პრეზენტაციების, სემინარების ჩატარების გზით. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი კვლევების წარმოებას, კონსულტაციების გაწევას და სხვა.
  აღსანიშნავია, რომ წლის მანძილზე, აქტიურად მიმდინარეობდა მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და ადვოკატთა ასოციაციის წევრების მონაწილეობით სემინარების ჩატარება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

- 2018 წლის 24 მაისს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის. მემორანდუმი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაძლიერებას კონკურენციის კანონმდებლობაში და კონკურენციის პოლიტიკის წარმართვის პროცესში სახელმწიფო ენის პრინციპების დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სააგენტოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში სახელმწიფო ენის ნორმების გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა; სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ სააგენტოსთვის კონსულტაციების გაწევა და რეკომენდაციების შემუშავება, სახელმწიფო ენის ნორმების გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმის შესაბამისად, მხარეებმა აქტიურად ითანამშრომლეს, რათა კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის შემუშავებისას მაქსიმალურად მომხდარიყო სახელმწიფო ენის პრინციპების გათვალისწინება.

- 2018 წლის 28 სექტემბერს თბილისში ჩატარებული კონკურენციის მეორე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას - საქართველოს ტერიტორიაზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განხილვა/ანალიზის პროცესში; ასევე, ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელთა მონაწილეობას და შესაბამისი პოზიციის წარდგენას სააგენტოს მიერ განხორციელებული მოკვლევის პროცესში; ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის ამაღლებისა და მეწარმეთა ცნობიერების გაზრდის მიზნით და ა.შ.

- 2018 წლის 11 ოქტომბერს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას კონკურენციის პოლიტიკის წარმართვის პროცესში, სტატისტიკური მონაცემების გამოყენების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელებისათვის, აუცილებელია საქსტატში დაცული სტატისტიკური ინფორმაციის, კვლევების გაცნობა და სააგენტოს თანამშრომელთათვის კონსულტაციების გაწევა ამ ინფორმაციის დამუშავების თაობაზე, რაც წლის მანძილზე ნაყოფიერად ხორციელდებოდა.

- 2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება საფინანსო სექტორში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად წარმართვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობის შემდეგ ფორმებს: საფინანსო სექტორში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა და განხორციელება; კონსულტაციების გაწევა; კანონმდებლობის შეცვლის/დახვეწის თაობაზე წინადადებების განხილვა, ანალიზი და სხვა.

  აღსანიშნავია, რომ მემორანდუმი ეფუძნება უწყებებს შორის უკვე არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების სურვილს, ვინაიდან მის გაფორმებამდეც, 2018 წლის მანძილზე, მხარეებს შორის აქტიურად ხორციელდებოდა კონსულტაციების გაწევა, ერთობლივი ტრენინგები და სხვა ღონისძიებები.

9. სააგენტოს მიერ გამოცემული გზამკვლევი დოკუმენტები

❖

კანონის მე-7 მუხლის განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 ივნისის N04/153 ბრძანებით დამტკიცდა გზამკვლევი დოკუმენტი - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.“

დოკუმენტი მიზნად ისახავს, მარტივად აღქმადი ფორმით, ეკონომიკური აგენტებისათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც სააგენტოს მიერ კონკურენციის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას მიჩნეული კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

დოკუმენტი კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების შესახებ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას წარმოადგენს, რომელშიც მოცემულია

ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 50-ზე მეტი გადაწყვეტილება. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, დოკუმენტში ჯერ მოკლედაა აღწერილი კანონმდებლობის განმარტების პრობლემატიკა, შემდგომ მოცემულია ევროკომისიისა და CJEU-ს რელევანტური გადაწყვეტილების შინაარსი და საბოლოოდ, გაკეთებულია შემაჯამებელი განმარტებები.

გზამკვლევი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ელემენტები, ეკონომიკურ აგენტად მიჩნევის კრიტერიუმები, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების სახეები (ხელშეკრულება, გადაწყვეტილება, შეთანხმებული ქმედება), კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნისა და შედეგის მქონე შეთანხმებები და შეთანხმების კატეგორიები (ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება, ბაზრების/მიწოდების წყაროების გადანაწილება, იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება და სხვ.).

გზამკვლევი დოკუმენტი სააგენტომ კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიმუშავა და მისი გამოცემა ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა.

❖

კანონის მე-6 მუხლის განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 დეკემბრის N04/334 ბრძანებით დამტკიცდა გზამკვლევი დოკუმენტი - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე“.

დოკუმენტი ეძღვნება კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და მასში განხილულია ბოროტად გამოყენების შემდეგი სახეები: მტაცებლური ფასები, ფასდათმობები, ფასისმიერი დისკრიმინაცია (ფასის შერჩევითი შემცირება), მარჟის შეზღუდვა, მიბმა, მიწოდებაზე/დაშვებაზე უარი.

გზამკვლევი მოიცავს ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასა და 30-ზე მეტი გადაწყვეტილების ანოტაციას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ზემოაღნიშნულ სახეებთან მიმართებაში.

დოკუმენტი მიზნად ისახავს ეკონომიკური აგენტების, იურისტებისა და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, მარტივად აღქმადი ფორმით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

10. კონკურენციის სააგენტოს ცნობადობის დინამიკა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კომუნიკაცია

2018 წელი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთვის მეტად მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და რეფორმების წელიწადად შეიძლება ჩაითვალოს. მცირერიცხოვან, მაგრამ მაღალპროფესიონალურ გუნდთან ერთად, სააგენტოს თავმჯდომარის, ნოდარ ხადურის მიერ ინიცირებული პროექტები, კონფერენციები, შეხვედრები, მიღებული გადაწყვეტილებები მიმართული იყო მთავარი მიზნისკენ - ქვეყანაში შეიქმნას და დამკვიდრდეს თავისუფალი, სამართლიანი, ჯანსაღი ბიზნეს გარემო, რომელიც ეკონომიკური წინსვლის მთავარი გარანტია.

სამომავლოდ, სააგენტო გეგმავს ინტენსიური ხასიათი მისცეს შეხვედრებს მედია სექტორთან და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რაც მათთვის კონკურენციის კანონმდებლობაზე, მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდებას ემსახურება.

კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერებისა და სააგენტოს ცნობადობის გაზრდის მიმართულებით, უმნიშვნელოვანესია ის მზაობა და დაინტერესება, რომელსაც მედიის წარმომადგენლები სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმართ გამოხატავენ. აღნიშნულს განხორციელებული საქმეები და მისი შედეგები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სააგენტოს და მისი ხელმძღვანელის შესახებ გავრცელებული პუბლიკაციებიც მოწმობს. საზოგადოების ნდობა, ინტერესი, კრიტიკა, ჩართულობა, მხარდაჭერა თუ თანამონაწილეობა ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებლია.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ მასალებსა და წინა წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით, 2018 წელს საზოგადოების დაინტერესებისა და აქტიურობის გაცილებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

2018 წელს გავრცელებული ინფორმაცია ვებ-გვერდზე
competition.ge

თვე	რაოდენობა
იანვარი	7
თებერვალი	6
მარტი	8
აპრილი	5
მაისი	18
ივნისი	6
ივლისი	18
აგვისტო	2
სექტემბერი	10
ოქტომბერი	5
ნოემბერი	5
დეკემბერი	10
სულ	100

2018 წელს გავრცელებული ინფორმაცია facebook-ზე
www.facebook.com/CompetitionAgencyGeo

თვე	რაოდენობა
იანვარი	11
თებერვალი	6
მარტი	9
აპრილი	8
მაისი	16
ივნისი	7
ივლისი	17
აგვისტო	2
სექტემბერი	14
ოქტომბერი	5
ნოემბერი	8
დეკემბერი	14
სულ	117

2018 წელს საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია

თვე	რაოდენობა
იანვარი	82
თებერვალი	22
მარტი	15
აპრილი	9
მაისი	34
ივნისი	15
ივლისი	34
აგვისტო	13
სექტემბერი	61
ოქტომბერი	21
ნოემბერი	37
დეკემბერი	84
სულ	427

2018 წელს facebook-ზე მომხმარებელთა აქტივობა:









საქართველოს კონკურენციის სააგენტო
მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის 154
ტელ: (032) 2440 770 (21-74)
ელ-ფოსტა: info-gca@competition.ge
ვებ-გვერდი www.competition.ge